



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მ ი ნ ი ს ტ რ ი



KA100135991219614

თბილისი

04 / დეკემბერი / 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/1140

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შერჩევასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 7 ივლისის N183 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) 2014 წლის 13 მაისის N01/375 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) წესდების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-9 მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამსაქმებლის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმოდგენილი კანდიდატურებიდან, კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს 3 წევრის შერჩევის მიზნით, 2014 წლის 10-12 დეკემბერს ცხადდება აღნიშნული დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან წარმოდგენილ კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესი.

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან სარეგისტრაციო განაცხადების მიღება განხორციელდეს კოლეჯის ადმინისტრაციაში (მის.: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N49), 2014 წლის 10-12 დეკემბერს, 10.00 სთ-დან 17 სთ-მდე.

3. კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კანდიდატურები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ასაკი (მინიმუმ 21 წელი);

ბ) უმაღლესი განათლება (სავალდებულოა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, უპირატესობა ენიჭება მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) და დოქტორის ხარისხის მქონე პირებს);

გ) სამუშაო სტაჟი (სასურველია იმ დაწესებულება/ორგანიზაციაში, რომელსაც იგი წარმომადგენს, მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

4. კოლეჯის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს:

ა) ამ ბრძანებით გათვალისწინებული სარეგისტრაციო პროცესის დაწყების შესახებ პოტენციური დამსაქმებლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის

შეტყობინება;

ბ) მიღებული სარეგისტრაციო განაცხადების გადარჩევა ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად და აღნიშნულის შემდგომ კანდიდატურების შესახებ სარეგისტრაციო განაცხადების სამინისტროში წამოდგენა (არაუგვიანეს 2014 წლის 16 დეკემბრისა).

5. სამინისტროს აპარატმა უზრუნველყოს:

ა) ამ ბრძანებით გათვალისწინებული სარეგისტრაციო პროცესის დაწყების შესახებ ინფორმაციის განთავსება სამინისტროს ვებ-გვერდზე;

ბ) ამ ბრძანების მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო განაცხადების მიღება (სამინისტროს კანცელარიის გავლით);

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სარეგისტრაციო განაცხადების განხილვის მიზნით, მოხსენებითი ბარათით მინისტრთან შესაბამისი კომისიის (სამინისტროს თანამშრომელთა მონაწილეობით) შემადგენლობის შეთანხმება (მოხსენებით ბარათზე მინისტრის რეზოლუციით განსაზღვრული არანაკლებ 3 პირი).

6. ამ ბრძანების მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად შექმნილმა კომისიამ უზრუნველყოს:

ა) წარმოდგენილი სარეგისტრაციო განაცხადების 2014 წლის 18-19 დეკემბერს განხილვა;

ბ) კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისათვის 3 კანდიდატის (დამსაქმებლებიდან -1, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან - 1, საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან - 1) შერჩევა და მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენა არაუგვიანეს 2014 წლის 22 დეკემბრისა.

7. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 2/3, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით (ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი არის კომისიის თავმჯდომარის ხმა).

8. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი, რომელთა ვინაობაც განისაზღვრება ამ ბრძანების მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული მინისტრის რეზოლუციით.

9. სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო უზრუნველყოფისა და რესურსების მართვის სამმართველომ უზრუნველყოს, კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს 3 წევრის დანიშვნის შესახებ მინისტრის შესაბამისი ბრძანების კოლეჯისათვის მიწოდება (ამ ბრძანების მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში).

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი



ლევან ყიფიანი